ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 7 სექტემბრის N-10/9690 წერილის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის ზურაბ ქადაგიძის ანგარიშს. რომელიც მოიცავს 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს.

აღნიშნული ანგარიშის საზოგადოებისთვის წარდგენა მოხდება ა.წ. 3 ოქტომბერს, 18:00 საათზე, ქ. თბილისი 0114, თავისუფლების 2, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში არსებულ, თამარ მეფის დარბაზში.

დანართი: 21 (ოცდაერთი) ფურცელი

პატივისცემით

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ისნის რაიონის დეპუტატი

ზურაბ ქადაგიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 22 ფურცელი

№10/9690 22.09.17ნ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, ისნის რაიონის, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ ქადაგიძის 2017 წლის ანგარიში

ისნის რაიონის, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის სამაჟორიტარო ბიურო, საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით. ბიურო თავის საქმიანობას წარმართავს უფლებამოსილების ფარგლებში.

სამაჟორიტარო ბიურო მუშაობს 2016 წლის 1 ნოემბრიდან. მოქალაქეთა მიღება იმართება ყოველ ოთხშაბათს. ბიუროს თანამშრომლები ორგანიზებას უწევენ მოსახლეობასთან ჩემს შეხვედრებს, მოქალაქეებს უწევენ შესაბამის კონსულტაციებს მათ მიერ დასმულ პრობლემებზე და იხილავენ შემოსული განცხადებებს.

შეხვედრების დროს მოქალაქეები ძირითადად მოგვმართავდნენ სოციალური, ინფრასტრუქტურული, დასაქმების და მიწის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებით.

2016 წლის 1 ნოემბრიდან მაჟორიტარის ბიუროსა და უშუალოდ მაცხოვრებლთა საცხოვრებელ მისამართზე გავმართეთ რამდენიმე ათეული შეხვედრა, რომლის დროსაც შევხვდი 700 ზე მეტ ადამიანს, მოქალაქეთა დიდ ნაწილს ადგილზე გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, ხოლო ნაწილმა

მომმართა განცხადებით, რომელიც შემგომი რეაგირებისთვის შესაბამის უწყებებს გადავუგზავნე.

შემოსული განცხადებების უმეტესობა სოციალურ პრობლემებს ეხებოდა: ოპერაციების, მკურნალობის და მედიკამენტების დაფინანსება. ხოლო მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

1. **სოციალური შინაარსის წერილები :**

1.1 სამედიცინო მომსახურება (მედიკამენტები, ოპერაცია, კვლევა) დაუფინანსდა 121 ადამიანს.

1. 3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 32 ადამიანს

საგანგაშოდ დიდია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ სოციალურად დაუცველის სტატუსის დარეგისტრირების შემდეგ მინიჭებული სარეიტინგო ქულების გადამოწმებას. ასევე მძიმეა იმ სოციალურ დაუცველ პირთა მდგომარეობა, რომლებსაც თავშესაფარი არ გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრით ან სტიქიით დაზარალებულ პირებს ეძლევათ ქირით დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მაგრამ სხვა გარემოებათა გამო უსახლკაროდ დარჩენილი პირებისათვის ასეთი სახის ღონისძიება შეზღუდულია.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

2017 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით ჩატარდა შემდეგი სარეაბილიტაციო სამუშაოები:

<u>საგზაო სამუშაოები:</u>

ვაზ 4 მრ, 1 კვ 14-15 კორპუსის გზა
ვაზ 1 მრ, 4 კორპუსის გზა
ვაზ 1 მრ, 20ა-20ბ კორპუსი შიდა გზა
ვაზ 3 მრ, 2 კვ 3 კორპუსის გზა
ვაზ 3 მრ, 2 კვ 6-7 კორპუსის გზა
ვაზ 3 მრ, 2 კვ სასადილოს გზა
ვაზ დასახლება 10 კორპუსის გზა
ვაზ დასახლება 182-ე საბავშო ბაღის მიმდებარედ ბილიკი
ვაზ, 2 ა მრ, 20 კორპუსი შიდა გზა
ვაზ. 3 მრ, 2 კვ 15-18 კორპუსენის მიმდებარედ
ვაზისუბანი მეტრომშენის დამაკავშირებელი გზა
ვარკეთილის 4 მრ 3 კვ 14-15 კორპუსების შიდა გზა
კახეთის გზატკეცილი 48 შიდა გზა
ვარკეთილის 4 მრ 3 კვ 7კორპუსის ეზო
ვაზისუბნის მე-3 მ/რ, 2 კვ 10 კორპუსი ეზო

<u>რეაბილიტირებული სკვერი</u>:

ვაზისუბნის მე-4მ/რ Iკვ.2-3-4 კორპუსებს შორის
ვაზისუბნის მე-4მ/რ IIკვ. მე-9 კორპუსის მიმდებარედ
ვაზისუბნის მე-4მ/რ II კვ. მე-5-7 კორპუსებს შორის
ვაზისუბნის მე-4მ/რ Iკვ. I კორპუსის მიმდებარედ
ვაზისუბნის Iმ/რ მე-15კორპუსის მიმდებარედ

<u>სპორტული მოედნები:</u>

ვაზ. 4 მრ, 1 კვ 1 კორპუსი
ვაზ. 4 მრ, 2 კვ 11 კორპ
ვაზ. დასახლება 10ა და 12 კორპუსებს შორის
წულიკიძის 1 და მე-2 შესახვევი
წულუკიძის 3 შესახვევი 9-11 კორპუსი
ვაზისუბანი 3 მ/რ, 1 კვ 2 კორპუსი
ვარკეთილის 4 მრ 3 კვ 12 კორპუსი

<u>აღსანიშნავია, რომ ვაზისუბანში მოეწყო ორი, ე.წ. ფიტნეს ზონა.</u>

ვაზისუბნის 2ა მ/რ, 20-21 კორპუსებს შორის
ვაზისუბნის დასახლება 5 კორპუსის წინ სკვერში

ბიუროს წევრების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა, რომ რაიონში მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა. ჩვენი ინიციატივით სათანადო სამსახურებთან ერთად მოხდა ამ პრობლემების კლასიფიკაცია და მათი პრიორიტეტულობიდან გამომდიმარე დაიგეგმა პრობლემების მოგვარების გრაფიკი. აღნიშნული პრობლემების მოგვარება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე, ისნის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებით , ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობის არარერტი პროექტი დაფინანსდა კერძოდ:

<u>საკანალიზაციო სისტემები:</u>

1	ვაზისუბნის მე-2მ/რ, კორპ N-10	შიდა წყალ-კანალიზაცია
2	ვაზისუბნის მე-2მ/რ, კორპ N-19	შიდა წყალ-კანალიზაცია
3	ვაზისუბნის მე-2მ/რ, კორპ N-13	შიდა წყალ-კანალიზაცია
4	ვაზისუბნის დასახლება კორპ N-10	შიდა წყალ-კანალიზაცია
5	ვაზისუბნის მე IVმ/რ Iკვ. კორპ N-11	შიდა წყალ-კანალიზაცია
6	ვაზისუბნის მე-2ა მ/რ, კორპ N-23	შიდა წყალ-კანალიზაცია

7	ვაზისუბნის მე IVმ/რ Iკვ. კორპ N-8	შიდა წყალ-კანალიზაცია
8	ვაზისუბნის მე-Iმ/რ, კორპ N-5	შიდა წყალ-კანალიზაცია

<u>ლიფტი შეკეთდა შემდეგ კორპუსებში:</u>

1	ვაზისუბნის დასახლება კორპ N-18	ლიფტის აღდგენა
2	ვაზისუბნის დასახლება კორპ N-10	ლიფტის აღდგენა
3	ვაზისუბნის მე IVმ/რ Iკვ. კორპ N-11	ლიფტის აღდგენა
4	ვაზისუბნის მე-2ᵓ მ/რ, კორპ N-27	ლიფტის აღდგენა
5	სამგორის დასახლება, კორპ N-32	ლიფტის აღდგენა

<u>ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია:</u>

1	ვაზისუბნის მე -4 მ/რ Iკვ. კორპ N-14	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
2	ვაზისუბნის დასახლება კორპ N-18	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
3	ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2კვ. კორპ N-8	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
4	ვაზისუბნის მე-2მ/რ, კორპ N-15	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
5	ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2კვ. კორპ N-6	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
6	წულუკიძის მე-2შეს. კორპ N-12	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
7	ვაზისუბნის მე-4მ/რ მე-2კვ. კორპ N10	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
8	წულუკიძის მე-3 შესახვევი კორპ N-7	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია
9	ვაზისუბნის I-მ/რ კორპ N-20	ბრტყელი სახურავის რეგილიტაცია

სამწუხაროდ ვაზისუბანსა და მერვე ლეგიონში ჯერ კიდევ გვაქვს რამდენიმე გადაუჭრელი პრობლემა, ეს პირველ ყოვლისა შეეხება მიწის ლეგალიზებას და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ქულების მინიჭების სისტემას, შემდგომ მაჟორიტარს და ახალი საკრებულოს შემადგენლობას დიდი შრომა დაჭირდება, რათა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა მოხდეს.

საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში

მონაწილეობის შესახებ იმფორმაცია.

მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 25 სხდომაში, რომლის დროსაც მივიღეთ 89 დადგენილება და 427 განკარგულება.

ვარ ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის წევრი.

ასევე ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტტეის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიისა და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი.

ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის ფარგლებში დავესწარი 9 სხდომას, რომლის დროსაც განხილული იქნა 14 საკითხი, თითოეული საკიტხის განხილვაში აქტიურად ვიყავი ჩართული და ვმონაწილეობდი როგორც წარმოდგენილი ინიციატივების დამუშავებაში ასევე შესწორებასა და დოკუმენტის მომზადებაში, საკრებულოს სხდომაზე გასატანათ.

გარემოს დაცვის კომისია: 2017 წლის 28 აპრილიდან (კომისიაში გაწევრიანების დღიდან) 21 სექტემბრამდე ჩატარებული დავესწარი 5 სხდომას და შევისწავლე(განვიხილე) 20 საკითხი.

ა.წ. ივნისის თვეში ჩემი ჩართულობით და მონაწილეობით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საინვესტიციო კომპანია სს „აი ჯი კაპიტალ ინვესტის“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქში ინვესტორების მოზიდვას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

აგვისტოს თვეში სამუშაო ვიზიტით გავემგზავრე იტალიაში, ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ძირითადად ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებენ. შევხვდი ადგილობრივ ბიზნეს კომპანიებს. იტალიელმა ბიზნესმენებმა საქართველოში შესაბამის სფეროში ინვესტიციების განხორციელების სურვილი გამოთქვეს, რის საფუძველზეც შემოდგომაზე თბილისში იტალიური ბიზნესფორუმის ჩატარება დაიგეგმა.

მხარეებს შორის შედგა შეთანხმება, რომ ოქტომბერში საქართველოში ჩამოსულ იტელიელ ინვესტორებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან შეხვედრების დაგეგმვაში გავუწევ შუამდგომლობას.

ჩემი ინიციტივით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებთა, ჩემი სურვილი იყო, რომ უკეთ გავცნობოდი მათ პრობლემებს და ერთად დაგვეგეგმა პრობლემის გადაჭრის გზები.

რამდენჯერმე სტუმრად ვიყავი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განკუთვნილ უფასო სასადილოში, ადგილზე გავეცანი მენიუში არსებულ საკვებ პროდუქტს და გავესაუბრე ბენეფიციარებს.